მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ქვიშა ბათუმი"-ს (ს/კოდი: 445537839) დაგეგმილი აქვს ქ. ბათუმში,აკაკი შანიძის ქ. №3-ში მდებარე, შპს „ნაზირი და კომპანია"-ს (ს/კოდი: 248429446) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №05.35.28.246) სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია .

შპს „ქვიშა ბათუმი"-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 5.1 ქვეპუნქტით (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას. ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და „ქ. ბათუმში, შპს „ქვიშა ბათუმის" მიერ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის №2-484 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გზშ-ს ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი:
1. შპს „ქვიშა ბათუმი"-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,
მეჰმეთ ქუთანოღლუ
შპს „ქვიშა ბათუმი"-ს დირექტორი

№ 18516
"13" 10 2021